ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვის შესახებ # 60-7-116-574.

ქ. თბილისი **2016 წ.** 05.08

I.მხარეები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2016 წლის 05 აგვისტო, ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას” (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის სულხან ზუმბურიძის სახით და მეორეს მხრივ ააიპ „არქეოლოგიური ასოციაცია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ვახტანგ ლიჩელის სახით, შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. “მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას გაუწიოს “შემსყიდველს” მომსახურება (CPV კოდი: 71351914) დანართი #1-ის (ხარჯთარიცხვა) და დანართი #2–ის (ტექნიკური პირობა) შესაბამისად.

2.2. დანართი #1 და დანართი #2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **10000(ათიათასი)** ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახდო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3 იმ შემთხვევაში თუ “მიმწოდებლის” მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო გადახდა, “შემსყიდველი” “მიმწოდებელს” უხდის საავანსო თანხას (ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ისა), „მიმწოდებლის” მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული ბანკიდან) წარმოდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 კალენდარული დღით მეტი ვადით. ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.4 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

4.3. “მიმწოდებელი” მომსახურებას ასრულებს “შემსყიდველის” მოთხოვნის შესაბამისად.

4.4 „მიმწოდებელი” ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხარისხიანად და არსებული სტანდარტების შესაბამისად. იგი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების და შედგენილი დოკუმენტაციების (ანგარიშის, დასკვნის) სისწორეზე.

4.5 “მიმწოდებელი” ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანგარიში არქეოლოგიური (110/10 კვ-იან ქვესადგური „BP-ჯანდარა“-ს და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „BP”-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევა (კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით) დოკუმენტაცია, დასკვნა 2-2 ეგზემპლარად და 2 ეგზემპლარი ელექტრონული ვერსია.

4.6. “მიმწოდებელი” მომსახურებას ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების დანართის #1 (ხარჯთაღრიცხვა) და დანართი №2-ის (ტექნიკური პირობების) შესაბამისად.

4.7 ”მიმწოდებელი” ვალდებულია განახორციელოს, ანგარიშის (დასკვნის) მიმართ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, ანგარიშის სრულყოფა და სხვა შესაბამისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ”შემსყიდველის” მიერ ამ ანგარიშის (დასკვნის) საფუძველზე შესაბამისი თანხმობებისა და ნებართვის მოპოვება. ანგარიშის სრულყოფა დამატებით ანაზღაურებას არ ექვემდებარება და შედის ანგარიშის მომზადების საფასურში.

4.8 “მიმწოდებელი” ვალდებულია წერილობით აცნობოს “შემსყიდველს” მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ და წარმოადგინოს მათთან დადებული ხელშეკრულების ასლები.

4.9 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან. საბოლოო ურთიერთობა “შემსყიდველსა” და “მიმწოდებელს” შორის ხორციელდება ამ კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით.

V. გასაწევი მომსახურების ვადა და ადგილი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი)კალენდარული დღე.

5.2 გასაწევი მომსახურების ადგილი იხილეთ წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #2-ში(ტექნიკურ პირობა).

VI. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 „მიმწოდებლის“ მიზეზით მომსახურების დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, მომსახურების ჯეროვნად და სრულად გაწევამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

6.2 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიმწოდებლი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ

მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

6.4 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და “მიმწოდებელზე” დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს „მიმწოდებლის“ მხრიდან „შემსყიდველისათვის“ 6.2 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

VII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1“მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს “შემსყიდველი” კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ “შემსყიდველი” კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მისი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით “შემსყიდველი”.

7.2“მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

7.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს “შემსყიდველის” მხრიდან უზრუნველყოფს სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” პროექტების ნებართვების სამსახურის უფროსი სპეციალისტი გიორგი მიქელაძე.

7.5 კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მომსახურების გაწევის ვადის შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

VIII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 “მიმწოდებლის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი (პირები) ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად შესრულებულ მომსახურებაზე.

8.2 მომსახურების მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზების (წუნდების) შემთხვევაში “შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს “მიმწოდებელს” სათანადო ხარვეზების შესახებ (წუნდების არსი).

8.3 ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია 2(ორი) კალენდარული დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

IX. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო – სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

X. ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

11.3.1. მხარეთა შეთანხმებით;

11.3.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

11.4 “შემსყიდველს” შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

11.4.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2. “მიმწოდებლის” გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მიწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, „შემსყიდველის“ მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

11.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5. ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება.

XII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XIII. დავათა განხილვა

13.1ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XIV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

XV. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის „მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17.08.2015წ #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებულის შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 21.03.2016 წლის სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის #973 განკარგულების (თანხმობის) (SMP160000936) და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #632 განკარგულების შესაბამისად..

XVI. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი”:
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”

ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. 2
საიდ. კოდი: 204995176
სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა # GE86LB0114144485353000

სულხან ზუმბურიძე
რეაბილიტაციის მმართველი

“მიმწოდებელი”:
ააიპ „არქეოლოგიური ასოციაცია“

იურ. მის.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.#35ბ,ბ.34
ფაქტ. მის.თბილისი, ჭონქაძის ქ#14ა,ბ#4
ს/კ 204466844
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა #GE27BG0000000275073700
მობ: 599510809,595402050
ვახტანგ ლიჩელი
დირექტორი

დანართი #1

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის" 110/10 კვ-იან ქვესადგური ,,BP-ჯანდარა"-ს და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი ,,BP"-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევის (კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით) შედეგებზე მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

#	მომსახურების დასახელება	საერთო ღირებულება (ლარი) დღგ–ს ჩათვლით
1	2	3
1	110/10 კვ-იან ქვესადგური ,,BP-ჯანდარა"-ს მშენებლობის პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევა	4000
2	110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი ,,BP"-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევა	6000
	საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით და ყველა ხარჯის გათვალისწინებით	10000

„შემსყიდველი":
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"

სულხან ზუმბურიძე
რეაბილიტაციის მმართველი

"მიმწოდებელი":
ააიპ „არქეოლოგიური ასოციაცია"

ვახტანგ ლიჩელი
დირექტორი

დანართი #2

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ 110/10 კვ-იან ქვესადგური „BP-ჯანდარა“-ს და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „BP”-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევის (კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით) შედეგებზე მომსახურების ტექნიკური პირობა :

მომსახურების გაწევის ადგილი, მომსახურების გაწევის პირობები და ვადები. ტექნიკური დავალება

- 110/10 კვ-იან ქვესადგური „BP-ჯანდარა“-ს და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „BP”-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევის (კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით) შედეგებზე დოკუმენტაციის მომზადება;
- საპროექტო ქვესადგურის ფართობი შეადგენს 3262 კვ.მ.-ს, ხოლო ეგხ ტრასის სავარაუდო სიგრძე 9,522 კმ-ს.

„მიმწოდებელს“ ევალება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ 110/10 კვ-იან ქვესადგური „BP-ჯანდარა“-ს და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „BP”-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევის (კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით) შედეგებზე დოკუმენტაციის მომზადება.

„მიმწოდებელი“ ჩართული უნდა იყოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს შორის 110/10 კვ-იან ქვესადგური „BP-ჯანდარა“-ს და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „BP”-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევის (კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით) შედეგების პროცესებში მანამ, სანამ არ მოხდება სააგენტოს მიერ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემები“-სთვის საკვლევ ტერიტორიაზე მშენებლობის წარმოებაზე თანხმობის გაცემა.

ლოჯისტიკა და წარმოსადგენი დოკუმენტები

„მიმწოდებლის“ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ამობეჭდილი (ხელმოწერილი - 2 ეგზემპლიარად), ასევე ელექტრონული ვერსიების სახით ქართულ ენაზე.

ტექნიკურ დავალებას თან ერთვის:

1. 110/10 კვ-იან ქვესადგური „BP-ჯანდარა“-ს სიტუაციური გეგმა (რუქა) – 2 გვერდი
2. 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „BP”-ის სიტუაციური გეგმაზე (რუქა) – 2 გვერდი

შენიშვნა:

110/10 კვ-იან ქვესადგური „BP-ჯანდარა“-ს და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „BP”-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში საპროექტო არეალის SHP ფაილები, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ სუბიექტს გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

„შემსყიდველი”:
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”

სულხან ზუმბურიძე
რეაბილიტაციის მმართველი

“მიმწოდებელი”:
ააიპ „არქეოლოგიური ასოციაცია“

ვახტანგ ლიჩელი
დირექტორი

110/10 კვ-იან ქვესადგური ,,BP-ჯანდარა“-ს სიტუაციური გეგმა (რუქა)




N
1:15 000

110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „BP”-ის სიტუაციური გეგმაზე (რუქა)



ქს "ბიჭი-ჯანდარა"			
№	X	Y	Z
1	511626,8	4588081	302,64
2	511650,3	4588094	302,64
3	511670,2	4588060	302,55
4	511646,9	4588046	302,59
5	511649,8	4588070	302,65